ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2591825

ნომერი: AR1399964

თარიღი : 26.04.2016

გაცემის თარიღი : 13.05.2016

გაცნობის თარიღი : 13.05.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი. ჭავჭავაძის გამზირზე "დოსააფის" შენობის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თამაზი მურვანიძე პ/ნ 01015021376
- თბილისი ნ.სულხანიშვილის II შეს. N 8

ორგანიზაცია:
- არქიკოლეგიუმი კოდი: 405004043

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტები
  - სასტუმრო

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

2016 წლის 26 აპრილს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს AR1399964 ელექტრონული განცხადებით მომართა მოქალაქე თამაზ მურვანიძემ და მოითხოვა ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ი. ჭავჭავაძის გამზირზე ,,დოსააფი“–ს შენობის

მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით: #01.14.07.011.001), სასტუმროს განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადება. მიწის ნაკვეთი მდებარეობს სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2)–ში, რადგან აღნიშნულ ზონაში მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება აღნიშნული ფუნქციით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ზონალური შეთანხმებით, საკითხი განხილულ იქნა ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომაზე (ოქმი #22 (05.05.16.)) რომელზეც საკითხს მიეცა უარყოფითი რეკომენდაცია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თახმად ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას მოქალაქე თამაზ მურვანიძეს ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ი. ჭავჭავაძის გამზირზე ,,დოსააფი“–ს შენობის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით: #01.14.07.011.001), სასტუმროს განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.